5370/3-81/21 2 03062021

5370/3-81/21
03-06-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ ვახტანგ გომელაურს

საქართველოს პარლამენტის წევრის

ანა ნაცვლიშვილის

კ ი თ ხ ვ ა

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არაერთგზის გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სახალხო დამცველს არ ეძლევა შესაძლებლობა თავისი კონსტიტუციური მანდატის ფარგლებში შეამოწმოს ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონი.

1. რა ღონისძიებები გატარდა და/ან იგეგმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და მისი რომელიმე ქვეუწყების მიერ, რათა საქართველოს სახალხო დამცველმა შეძლოს, კონსტიტუციური მანდატის შესაბამისად, მონიტორინგის დაუყოვნებლივ განხორციელება ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 9 21 01794118

09/07/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ **ანა ნაცვლიშვილს**

ქალბატონო ანა,

თქვენი №5370/3-81/21 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ 2021 წლის 3 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში არასრულწლოვანი ბენეფიციარების მიმართ განხორციელებულ შესაძლო ძალადობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1 პრიმა ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

გამოძიების დაწყების დღიდან უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. საპროცესო მოქმედებებში არასრულწლოვანთა მონაწილეობა ხდება კანონმდებლობის სრული დაცვითა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. საქმეში ჩართულია სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. არასრულწლოვნებთან მუშაობის პროცესში მონაწილეობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები.

2021 წლის 28 ივნისს, ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში განხორციელდა საქართველოს სახალხო დამცველის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში, სახალხო დამცველის მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას რაიმე სახის დაბრკოლებას ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სახალხო დამცველთან.

პატივისცემით,

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

შ.ს.ს.
მინისტრის მოადგილე
დარახველიძე ალექსანდრე